ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 89 (19531) ◆ ოთხშაბათი, 16 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მინდვრად გავიდნენ მიწათმოქმედნი

ღითი-დღე სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. ათასობით აგრეგატი გაიყვანეს მინდორში დონის მექანიზატორებმა. ისინი აგროვებენ ტენს, შეაქვთ ნიადაგში სასუქი, თესავენ ზაადრეო მარცვლეულს, მიწას ამზადებენ სათოხნი კულტურებისათვის. ჩიმკენტის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დაამთავრეს იონჯის თესვა. კურსკის მეურნეობებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საშემოდგომო კულტურების დამატებითს კვებას. აქ ფართობის ძირითად ნაწილში იყენებენ სასუქებს ფესვისპირა შეტანის ყველაზე ეფექტიან მეთოდს. ესტონეთის მემინდვრეები შარშანდელთან შედარებით უფრო აქტიურად ზრდიან სავარგულების ნაყოფიერებას.

წლევანდელი გაზაფხულის დაშახასიათებელი ნიშანია საქმის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენება. საერთოდ ქვეყანაში გაიზარდა მემინდვრეობის ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების მასშტაბი. ეს საქმე მაღალ კვალიფიკაციას, პასუხისმგებლობას მოითხოვს. არ უნდა დავუშვათ ფორმალური დამოკიდებულება მოწინავე ხერხებისადმი, მხოლოდ ანგარიშისათვის მათი „შესრულება“. უნდა მივაღწიოთ, რომ ამ ტექნოლოგიებმა ყველგან მნიშვნელოვნად შეტი მოსავალი მოგვცეს, ასკეცად აანაზღაუროს დანახარჯები. აგრომრეწვის მეურნეობათა, ქვეგანყოფილებათა სპეციალისტები ვალდებული არიან დაეხმარონ მინდვრის მშრომელებს ზედმიწევნით დაეუფლონ სიახლეს, დანერგონ მიწათმოქმედების ზონალური ნიადაგდამცავი სისტემები. ძირითადად ხომ ამ საფუძველზე უნდა უზრუნველყოთ მემცენარეობის დაჩქარებული აღმავლობა.

მემინდვრეების წინაშე რთული ამოცანებია დასახული, ისინი ითხოვენ ძალების დიდ დაძაბვას. ბოლო წლებში ზოგან აღარ მატულობს მიწათმოქმედების უკუგება. შენერდა მისი კულტურის ზრდა. ეს ეხება, კერძოდ, ვორონეჟის, ვლადიმირის, ურალის ოლქების ბევრ მეურნეობას. ამისათვის, რომ მოვახდინოთ მკვეთრი შემობრუნება, ძირეულად უნდა გავაუქმობისოთ საქმის ვითარება მემცენარეობაში. უწინარეს ყოვლისა, მაღალ დონეზე შევასრულოთ ყოველი აგროტექნიკური ხერხი, დავთესოთ ხარისხიანი თესლი ოპტიმალურ ვადებში, კარგად მომზადებულ ნიადაგში. პარტიულმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა მშრომელებს უნდა ჩაუნერგონ შეურიგებლობა ნაკლოვანებებისა და რუტინისადმი, მისწრაფება, რომ სახსრების, შრომის ნაკლები დანახარჯებით მიაღწიონ უმაღლეს შედეგებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მელიორირებულ მიწებს. უნდა ვიზრუნოთ, რომ სარწყავი, დასაშრობი სისტემები კარგად მოვამზადოთ სეზონისათვის. მაგრამ ამაზე ყველგან როდი თქვიან. მაგალითად, თურქმენეთსა და უზბეკეთში მიმდინარეობს ბამბის მასობრივი თესვა, ყველა ჰიდროტექნიკური ქსელი კი ჯერ არ არის აღდგენილი. ზოგჯერ გაუმართავია საკოლექტიო-სადრენაჟო ბაზები. ზოგიერთ მეურნეობაში ცუდად ითვისებენ მეცნიერულად დასაბუთებულ თესლბრუნვებს. მელიორატორებმა და მემინდვრეებმა უფრო სწრაფად უნდა გაადიდონ გაუმჯობესებული სავარგულების უკუგება, იზრუნონ საპროექტო მოსავლის მოწევისათვის. ბევრს ნიშნავს ყაირათიანი დამოკიდებულება წყლის, სარწყავი ჰექტარის სხვა რესურსებისადმი.

საგაზაფხულო მინდორში საქმეს უკეთესად წარმართავს ის, ვინც უნარიანად იყენებს ტექნიკას. მოწინავეებმა უკვე დიდი ხანია გაართეს იგი, შეამწყვეს ყოველი წვრილმანი. მანქანები ჩაბარეს გამოცდილ მექანიზატორებს, რომლებიც მუშაობენ კოლექტიური ოჯახის მეთოდით. შეადგინეს გრაფიკები, გაიაზრეს მოძრაობის მარშრუტები, იზრუნეს აგრეგატების ზუსტი მომსახურებისათვის. და მიუხედავად ამისა, ზოგან თესვამ საინერნო სამსახურის მუშაკებს მოუმზადებლებს მოუსწრო. აპრილის დამდეგისათვის ტრაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯერ კიდევ არ იყო მუშაობისათვის მზად კოსტრომის, პერმის ოლქების, უდმურტეთის ასსრ რესპუბლიკის მეურნეობებში. ბევრი გაუმართავი „კიროვეცია“ აუზახეთის უამინრზე. ხშირად ფეხდება სათადარიგო ნაწილების მოწოდება მერემონტეებისათვის. მაგალითად, საქართველოს მთელ რიგ მეურნეობებში აკლიათ ტრაქტორების, სახსურველების, სხვა მექანიზმების დეტალები. როგორც ჩანს, ზოგან შეასუსტეს ყურადღება მიმდინარე საქმეებისადმი. მდგომარეობა სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

თესვის კამპანიის დღეებში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, აგროსამრეწველო კომიტეტების სპეციალისტთა ადგილი მინდვრებსა და მეურნეობებშია. საჭიროა, რომ სოფლის მშრომელები მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ნაბიჯებიდანვე განეწყონ ახლებურად მუშაობისათვის, გაუგონ გემო შემოქმედებას. კი არ ბრძანებლობდნენ, კი არ უკარნახებდნენ თესვის ან ნიადაგის დამუშავების ხერხებს, არამედ ეხმარებოდნენ მოაგვარონ საქმე, აითვისონ შრომის ორგანიზაციის პროგრესული ხერხები და მეთოდები, სამეურნეო ანგარიში, იჯარა, — აი რა მოეთხოვება დღეს მართვის ახალ ორგანოებს. არ უნდა დავუშვათ სასხლომო ფუსფუსი, ჭალალმთბზველობა, კაბინეტური სტილი. თესვის დროს სპეციალისტებმა კვლავინდებურად უნდა აითვისონ მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმი, პრაქტიკულად გამოავლინონ მისი შესაძლებლობანი.

საგაზაფხულო ალოობამ არაშავმწყანიადაგიან ზონასაც მიაღწია. ეს დიდი შესაძლებლობების რაიონია. ბოლო ორი ხუთწლედის მანძილზე მხარის აგროსამრეწველო კომპლექსში სოლიდური თანხებია დაბანდებული, მაგრამ ისინი ჯერჯერობით არ იძლევა საჭირო უკუგებას. ბევრ მეურნეობაში მცირეა მოსავალი. ხუთადანაზღაურებს დანახარჯებს განსაზღვრული მინდორი. სოფლის მშრომელების, მათი პარტნიორების — აგრომრეწვის მუშაკების ამოცანაა მიაღწიონ გარდატეხას, საქმის სამსახურში მთლიანად ჩააყენონ აქ შექმნილი საწარმოო პოტენციალი. ცხოვრება მოითხოვს უფრო ენერგიულად განვავითაროთ სამარცვლე მეურნეობა, მებოსტნეობა, მეტი საკვები დავამზადოთ პირუტყვისათვის. ამასთანავე უნდა გავაძლიეროთ ყურადღება არაშავმწყანიადგიანი ზონის უძველესი დარგის — მეხილეობისადმი. მდგომარეობა არც აქ არის სახარბიელო. ახლოვდება თესვის დრო, კალინინის, ფსკოვის ოლქებში კი არ ჩყოფნით საბოჭკოე ხელის თესლი. მისი დროული შესყიდვისათვის კი არ უზრუნვიათ.

ცხარე პერიოდი აქვთ ახლა აგრომრეწვის მეურნეობების, ყველა ქვეგანყოფის პარტიულ ორგანიზაციებს. საგაზაფხულო მინდორში განსაკუთრებით საჭიროა ცოცხალი მუშაობა ადამიანებთან, კომუნისტთა პირადი მაგალითი. პროფკავშირულ, კომკავშირულ კომიტეტებთან და ბიუროებთან ერთად პარტიელები მოწოდებული არიან იზრუნონ ბრიგადებისა და რგოლების კარგი შრომითი განწყობილების, მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნისათვის, მორალური და მატერიალური სტიმულირების ეფექტიანი გამოყენებისა და ქმედითი შეჯიბრებისათვის. უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ დავეხმაროთ სპეციალისტებს, ყველა მშრომელს, რომ უფრო სწრაფად გარდაიქმნან უსიქოლოგიურად, ისწავლონ, იაზროვნონ და იმოქმედონ დაჩქარების კატეგორიებით.

თესვა მოსავლის პირველი საფეხურია. სოფლის მშრომელები, აგრომრეწვის ყველა მუშაკი ისწრაფვიან ღირსეულად ჩაბარონ საგაზაფხულო გამოცდა მინდვრებში, ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ახალი წარმატებებისათვის მოუწოდებს სოფლის მეურნეობის მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახირველმაისო მოწოდების სტატეები: — აბრუსამრეწველო კომპლექსის მუშაო, მეელეგო! თქვენი პატრიოტული ვალია მოკლე ვადაში მთლიანად უზრუნველყოთ ქვეყანა სურსათით!

მიაღწიეთ კომპლექსის ყველა დარგის ეფექტიანობის მაქსიმალურ ზრდას, სოფლად მეურნეობრიობის დონის ამაღლებას!

ხუთწლედის დავალებებს — ენერგია და შემართება

კვარტალის გეგმა — გადამეტებით

უვარელი. (სკკ. კორ. დ. გერგიშვილი). ყვარლის საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო, რომელსაც „ს. სეფაშვილი ხელმძღვანელობს, თავისი არსებობის მხოლოდ მეორე წელს ითვლის, მაგრამ ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა შრომისმოყვარე კოლექტივისათვის, რომ წარმატებები მოეპოვებინა.

კოლექტივი ყოველთვის ვადაზე ადრე და ხარისხოვნად ასრულებს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს: შარშან საგეგმო მილიონ 328 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულა 2 მილიონ 100 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც საგეგმოს 158 პროცენტს უდრის, ასეთი მაჩვენებლებით მშენებლებმა რესპუბლიკის თანამოსაქმეთა შორის გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო დაიმსახურეს.

მათ კარგად დაიწყეს მეთორმეტე ხუთწლედიც, გადაეარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის საგეგმო დავალებები: 400 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულეს 476 ათასი მანეთის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები და ვალდებულება იკისრეს მეთორმეტე ხუთწლედი 3 წელიწადში დამთავრონ.

მშენებელთა 350-კაციანმა კოლექტივმა გადაწყვიტა პირველი მაისი მაღალ შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნონ.

მხოლოდ დაზოგილით

ბნიუშვნელოვან წვლილს შეიტანს ხუთწლედის რესპუბლიკურ „ყულაბაში“ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობის დღეს. საწარმოს მშრომელები გამოუშვებენ 200 ათასი მანეთის პროდუქციას, ამასთან მას დაამზადებენ მხოლოდ დაზოგილი სათბობითა და ელექტროენერგიით. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება რვა ათასი მანეთი.

ამ დღეებში საწარმოში მუშაობა დაიწყო ბრიგადამ, სადაც თავს იყრის ოპერატიული ინფორმაცია, რომლის მეოხებითაც განისაზღვრება თითოეულის მზადყოფნა — 19 აპრილს მიიღოს შრომის ესტაფეტა. ადგენენ ნედლეულის, ინსტრუმენტების რაოდენობას, მსჯელობენ დამატებითი პროდუქციის გამოშვებაზე.

როგორც ყოველთვის, პირველ რიგებში იქნებიან კომუნისტები, წარმოების ვეტერანები. მაგალითად, ლენინის ორდენოსანმა, ოსტატის თანაშემწემ ვ. გეგეშიძემ ვალდებულება იკისრა „წითელი შაბათობის“ დღეს გამოუშვას „ს“-ინდექსიანი 500 მანეთის პროდუქცია, რაც ერთ-ნახევარჯერ აღემატება დადგენილ ნორმას. მას ჰბაძავს გაერთიანების მთელი კოლექტივიც.

შრომის დღესასწაულზე

დაახლოებით სამასი ადრესატი მიიღებს 55 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას, რომელსაც კომუნისტური შაბათობის დღეს გამოუშვებს თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელი“. ფაბრიკის ოსტატების მიერ გემოვნებით ამოქარგულ გადასაფარებლებზე, ფარდებზე, მოსასხამებზე გაბრდილი მოთხოვნაა მრავალ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. მთელ ქვეყანაში განთქმულია, მაგალითად, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატის ვ. ზორინის ნაჭარგი. მიმდინარე წელს კოლექტივი გამოუშვებს თითქმის 16 მილიონი მანეთის პროდუქციას, რაც მილიონ-ნახევარი მანეთით მეტია შარშანდელთან შედარებით.

საწარმოში შრომის დღესასწაულისათვის მზადება დღითი დღე უფრო მასშტაბური, ხილული ხდება. განსაზღვრეს კონკრეტული დავალებანი და სამუშაოთა მოცულობა იმითვის, ვინც დასაქმებული იქნება უშუალოდ საწარმოო პროცესებზე. ყალიბდება ბრიგადები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ახლომახლო ტერიტორიის კეთილმოწყობასა და გამწვანებაში. გამოანგარიშებულია წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოცულობა, რომელთა გამოყენებით გამოუშვებენ პროდუქციას შაბათობის დღეს.

19 აპრილს გამომუშავებული სახსრებიდან „კომკავშირელის“ კოლექტივი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს ათას მანეთს.

ინიციატორთა მხარდამხარ

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმები.

გაერთიანების მრავალმა შრომელმა მხარი დაუჭირა თბილისელ მუშათა — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ. მათ შორის არის გაერთიანების საამწყობო საამქროს მოწინავე ბრიგადა, რომელსაც ც. დიღმელაშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე: ც. დიღმელაშვილი. თ. ნიკოლეიშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სახაგრომრეწვამ განახორციელეს აზიზლარისა და შიდარესპუბლიკურ საძოვრებზე 1985-1986 წლების პერიოდში ცხვრის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველყოფის მთელი რიგი ღონისძიებანი. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის საანგარიშო მონაცემებით ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ჰყავდათ 506 ათასი სული ცხვარი დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთის, ჯავის რაიონებიდან. სულადობის 60 პროცენტი საზოგადოებრივ მეურნეობებს ეკუთვნის, დანარჩენი კი ფერმების მუშაკებისა და სხვა მოქალაქეების პირადი საკუთრებაა.

ისევე, როგორც წინა წლებში, აღინიშნულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ყიზლარისა და შიდარესპუბლიკურ ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გამოზამთრების მიმდინარეობის შესახებ“, კერძო პირთა კუთვნილი ცხვრისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დიდი რაოდენობაა, რაც იწვევს საძოვრების ზენორმატიულ დატვირთვას. ეს უარღესად უარყოფით გავლენას ახდენს ბალახოვან საფარსა და საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაზე.

მეცხვარეობის მეურნეობებში დაბალ დონეზე აწარმოებენ პირველად ზოოტექნიკურ და საბუღალტრო აღრიცხვას, კონტროლს არ უწევენ ფარების მოძრაობას, საკვების ხარჯვას, დროულად არ ადგენენ ან საერთოდ არ ადგენენ პირუტყვის იძულებითი დაკვლისა და გაწყდომის-აქტებს. ადგილებზე არა აქვთ წინა თვეების პირველადი დოკუმენტები, რაც აძნელებს გამოზამთრების მიმდინარეობის შემოწმებას, ქმნის ცხვრისა და საკვების დატაცების შესაძლებლობებს.

ყაზბეგისა და ლენინგორის რაიონების გარდა არც ერთ რაიონში ცალ-ცალკე არ აღრიცხავენ საზოგადოებრივი და პირადი პირუტყვის საკვების ხარჯვას. ბევრ მეურნეობაში არ აკონტროლებენ ნამატის შემოსვლას.

ვეტერინარი სპეციალისტების სუსტი მუშაობის, სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დაგვიანებით განხორციელების, ცუდი მოვლის შედეგად ხშირია პირუტყვის იძულებითი დაკვლისა და გაწყდომის შემთხვევები. ამასთან არ ადგენენ დაავადებათა მიზეზებს, ხოლო გამოკვლების აქტებს მხოლოდ თვის ბოლოს ადგენენ.

გაზაფხულისა და შემოდგომაზე ცხვრის გადარეკვა ხშირად სერიოზულ სიძნელეებს აწყდება იმის გამო, რომ არ ახორციელებენ ყველა საჭირო საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებას. თითქმის ყველა რაიონი, რომლებიც სარგებლობენ ყიზლარის ზამთრის საძოვრებით, არღვევს ცხვრის გადარეკვის გრაფიკს, ხშირად ტრასაზე პირველად მიერეკებიან კერძო პირების კუთვნილ ფარებს, პირუტყვს გზაჭინან გადასარეკ ტრასაზე შესაბამისი დოკუმენტების, მათ შორის სავეტერინარო მოწმობების და მომსახურე პერსონალისათვის სულადობის მიმაგრების აქტების გაუფორმებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილი შემოწმებები ცხადყოფს, რომ ლენინგორის, ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ფარებს ხშირად თან ახლავან დაქირავებული მწყემსები, რომლებიც ზოგჯერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კი ცხოვრობენ. ყველა მწყემსს და ბრიგადირს როდი აქვს პასპორტი ან პირადობის მოწმობა, ისინი ზოგჯერ უკანონოდ ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღს.

ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველო, მისი პარტიული კომიტეტი, შირაქის ზამთრის საძოვრების სამმართველო ჯეროვნად არ ზრუნავენ ცხვრის გამოზამთრების ნორმალური პირობების შექმნისათვის, იშვიათად აკონტროლებენ საქმის ვითარებას მეცხვარეობის ბრიგადებში, საკვების ხარჯვის, შემოსული ნამატის აღრიცხვის სისწორეს, ურიგდებიან უყაირათობის ფაქტებსა და ნაკლოვანებებს ცალკეული ბრიგადების მუშაობაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო მუშაობა, რომელსაც პარტიის დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ჯავის, დმანისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, წალკის, მარნეულის, სიღნაღის რაიკომები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები ეწევიან ცხვრის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველყოფად.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ლენინგორის, ჯავის, დმანისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, წალკის, მარნეულის, ახმეტის, წითელწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს რაიკომებს წინადადება მიეცათ ბიუროს სხდომებზე სპეციალურად განიხილონ ცხვრის გამოზამთრებისა და დოლის მიმდინარეობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, დასაბინ და კონტროლი გაუწიონ ღონისძიებებს შემოსული ნამატის მაქსიმალური შენარჩუნებისათვის, გამოზამთრების წარმატებით დამთავრებისათვის. იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ცხვრის მოვლა-შენახვისა და კვების ნამატის შემოსავალში გატარების, აღრიცხვისა და ანგარიშგების დადგენილი ნორმებისა და წესების უხეშ დარღვევებში, გამოიყენონ სასჯელის მკაცრი ზომები.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ ოპერატიულად უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ცხვრის გამოზამთრების ორგანიზებული დამთავრებისათვის. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, ვეტერინარის სამინისტროებთან, ცეკავშირის გამგეობასთან ერთად უნდა მოგვარდეს შემშიდროებულ ვადებში და უღანაკარგოდ ხაფხულის საძოვრებზე ცხვრის ფარების გადარეკვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

(საქინფორმი).

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა: გადამწყვეტ ეტაპზე

მთლიანად გადავიდნენ მომავალ წელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დიზელიანი ავტომობილების გამოშვებაზე — ასეთი ამოცანა დგას ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის წინაშე. მის გადასაწყვეტად საჭიროა დღესვე მთელი მეცადინეობა მოხმარდეს წარმოების მომზადებას, პროგრესული პროდუქციის დამზადებაზე მის ხელახალ ორიენტაციას.

ქუთაისში გამართულ თათბირზე განიხილეს წარმოების რეკონსტრუქციის და ახალ სიმძლავრეთა ათვისებისა და დიზელიანი სატვირთო მანქანების გამოშვების გაფართოებისათვის მზადების საკითხები.

თათბირის დაწყების წინ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. პოლიაკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი, მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების, საპროექტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები გაეცნენ საწარმოს ცალკეული საამქროების მუშაობას, მშენებარე ობიექტებს.

როგორც თათბირზე აღინიშნა, ახალ სიმძლავრეთა მწყობრში ჩაყენებიდან გასულილ სამ თვეში შესრულებულია დიდი მოცულობის სამუშაოები. შეთანხმებულად მუშაობენ მექანიკური დამუშავების ავტომატური ხაზები, წყალბრუნვის პირველი და მეორე სადგურები, სხვა ობიექტები. სამშენებლო და სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოების კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალებანი ყველა მშენებარე ობიექტზე.

ამავე დროს ორატორებმა აღნიშნეს, რომ უაღრესად დაბალია გასამართავ სამუშაოთა ტემპი სამსხმელო წარმოებაში, სამღებრო უბანზე, „გიზაგ“ ავტომატურ საყალიბო ხაზზე. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა საწმენდ ნაგებობებზე. უაღრესად საჭიროა დაჩქარდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა, გადაიჭრას კადრებთან დაკავშირებული საკითხები.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრაზე, რომელშიც განსაზღვრულია სამამულო ავტომობილმშენებლობის პერსპექტივები, მოითხოვს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციაში დასაქმებული თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას, შემოქმედების ძიებას.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრმა ვ. პოლიაკოვმა.

თათბირში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. იაშინი.

(საქინფორმი).

საკავშირო სემინარი თბილისში

თბილისში გაიმართა სამშენებლო ინდუსტრიის გაზეთების რედაქციების საზოგადოებრივ კორესპონდენტთა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების აქტივისტთა XI საკავშირო სემინარი, რომლის თემა იყო „ეკოლოგია და მშენებლობა“. იგი მოაწყვეს საქართველოს სსრ საბჭოშენმა, სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა და საქართველოს რესპუბლიკურმა ჯამგეობებმა, მშენებლობის საკითხებზე ლიტერატურის გამომცემლობა „სტროიიზდატმა“ და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი.

მოისმინეს მოხსენებები და ინფორმაციები ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, საშენ მასალათა მრეწველობაში უნარჩენო ტექნოლოგიის, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკოლოგიური ასპექტების პრობლემებზე და სხვ.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური დაცვა მოიცავს არა მარტო გაუშუქყიანებასთან, ხმაურთან, ტრანსპორტის საფრთხესთან ბრძოლას, არამედ ენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების ეკონომიის, სათბობი ბალანსის გაუჯობესების, ენერგეტიკულად არა მავნე ახალი წარმოებების გამოყენებაზე გადასვლის საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების კომპლექსსაც. ამ ამოცანებიდან ბევრი აკუმულირდება კაპიტალურ მშენებლობაში. და ამიტომ გარემოს დაცვა დარგის მუშაკთა საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, გორკის, სხვა ქალაქების მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებმა სემინარის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წელილი შეაქვთ სამშენებლო გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციათა მუშაკებს გარემოს დაცვის, მეცნიერებისა და მშენებლობის თანამედროვე მიღწევების პროპაგანდაში.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲡᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

ᲔᲡ ლადო გუდიაშვილის პატივსაცემად გამართული პირველი საღამო იყო, რომელსაც არ ესწრებოდა თვით მხატვარი. მაგრამ მისი დიდი პორტრეტი ეგებოდა თბილისის ოპერის თეატრში გამართულ საიუბილეო სალამოზე მოსულ თითოეულ სტუმარს მხატვრისათვის დამახასიათებელი სათნო ღიმილით. პორტრეტი 1922 წელს დაუხატავს პარიზში ცნობილ ფრანგ მხატვარს, ლ. გუდიაშვილის დიდ მეგობარს სერჟ ფოტინსკის. ფერმწერი და ხელოვნებათმცოდნე ლუსიენ შელერი ინახავდა ამ პორტრეტს ფოტინსკის გარდაცვალების შემდეგ და ცოტა ხნის წინათ გადასცა იგი საჩუქრად მწერალსა და კინორეჟისორს რ. თაბუკაშვილს ლ. გუდიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმისათვის. შელერთან ინახებოდა ლ. გუდიაშვილის ექვსი ნამუშევარი, რომლებიც მხატვარს თავის დროზე უჩუქებია ფრანგი კოლეგისა და მეგობრისათვის. კინოფირზე აღბეჭდილი სურათები იხილეს ეკრანზე საიუბილეო სალამოს მონაწილეებმა, რათა კიდევ ერთხელ დამტკიცებულიყვნენ ფერთა ჯადოსნური შეხამებით, ლადო გუდიაშვილის ამაღლებული და ესოდენ თავისთავადი სამყაროთი.

საიუბილეო საღამო „ვახსნა რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა. მოხსენება ლ. გუდიაშვილის შემოქმედებაზე გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ. საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ბერძენიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ო. თაქთაქიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ანჯაფარიძე, მწერალი რ. თაბუკაშვილი. მათ ილაპარაკეს ქართული ეროვნული კულტურის საფუძველზე აღზრდილი გამოჩენილი მხატვრის რთულ შემოქმედებითს და ცხოვრების გზაზე. ბევრი ორატორისათვის ლ. გუდიაშვილი იყო დიდი და ერთგული მეგობარი, მათმა ნაამბობმა ესოდენ უბრალო დიდ ადამიანსა და შემოქმედზე აღელვა დარბაზში მყოფნი. ხოლო როცა კინოკადრებმა გაიცოცხლა მისი სახე ეკრანზე, დარბაზში ტაშმა ავარიალა.

გულთბილად მიესალმნენ შეკრებილნი მხატვრის მეუღლესა და მისი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნინო გუდიაშვილს, რომელიც ლადო გუდიაშვილი თავის მოგონებათა წიგნში წერს: „ბევრ რამეს, რაც მე შევქმენი, რაც გავაკეთე, რაც იყო და როგორც იყო, უპირველეს ყოვლისა, ვუმადლი ჩემს მეგობარსა და მეუღლეს — ნინო გუდიაშვილს... იგი მუდამ თავდადებით, ჩემდამი, ჩემი მომავლისადმი ფანატიკური რწმენით აკეთებდა ყოველივეს, და თუ მე ბევრი რამ გადავიტანე, ბევრ განსაცდელს გავუძელი და ზოგი რამ შევქმენი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ გვერდით მუდამ ნამდვილი მეგობარი იდგა...“

ნამდვილი მეგობარი ლ. გუდიაშვილს ბევრი ჰყავდა. და არა მარტო საქართველოში — არამედ რუსეთშიც, სხვა მოძმე რესპუბლიკებში. საღამოზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი „დეკორატივნოე იკუსტვო სსსრ“-ის ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ხელოვნებათმცოდნე ო. ბუტკევიჩი, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის სამდივნოს დეპეშა, აგრეთვე თვალსაჩინო საბჭოთა პოეტის ა. ვოზნესენსკის დეპეშა, რომელმაც ლ. გუდიაშვილის მიუძღვნა თავისი ლექსი, სომხეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. მურადიანი. მათ ილაპარაკეს ლ. გუდიაშვილის ფენომენზე, მისი დიდი ნიჭის თავისთავადობაზე, შემოქმედზე, რომელმაც წვლილი შეიტანა მსოფლიოს სახვითს ხელოვნებაში, შეინარჩუნა თავისი სტილი და ხელწერა.

საიუბილეო საღამოზე მაყურებელთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარდგნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ზ. ანჯაფარიძე, ო. მეღინეთუხუცესი, ც. ტატიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. იაშვილი, პ. ბურჭულაძე, კ. მახარაძე, გ. საღარაძე, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნ. რამიშვილისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის თ. სუხიშვილის ხელმძღვან

პარტიული ცხოვრება:

**მანდატურ-ინსპექტორ-ინსტრუქტორ-ინსპექტორ-ინსტრუქტორ-ინსპექტორ-ინსტრუქტორ

ᲒᲯᲔᲠᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲓᲔᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ...

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲘᲥᲕᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ, ᲙᲣᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲗᲝᲞᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲣᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲘᲚᲘᲖᲐᲠᲝᲕᲘ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲒᲘᲫᲚᲝᲡ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜᲘᲗ ᲐᲚᲕᲘᲭᲕᲗ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ, ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲕᲘᲯᲔᲠᲔᲑᲗᲘᲗ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲖᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘᲚᲓᲘᲗᲝᲛᲓᲐ, — ᲣᲗᲮᲠᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲐᲜ ᲧᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ.

სხვათა შორის, პირველად სწორედ ჟურნალისტებმა ირწმუნეს ილიზაროვისეული მკურნალობის ახლებური მეთოდი და მის' კვლევა-ძიებებს თამამად დაუთმეს პრესის ფურცლები. საერთო აღიარება შედარებით გვიან მოვიდა, თუმცა მეცნიერული საზოგადოების თვალწინ საოცარი ამბები ხდებოდა. ილიზაროვის ექსპერიმენტები იმედს უღვივებდა ყველას. ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან მოდიოდნენ მის კლინიკაში გულჩათხრობილი, უმწეო, უკანასკნელ იმედს ჩაჰიდებული ადამიანები...

არის ფიზიკური ნაკლი, რომლის გამოსწორების შანსი პრაქტიკულად თუ არა, თეორიულად მაინც არსებობს. მაგრამ არის ისეთიც, რომელიც ჯერჯერობით უიმედობის ბურუსში გახვეულა. რა ეშველება დაბადებიდანვე ან უბედური შემთხვევის გამო დასახიჩრებულ კიდურებს, გამრუდებულ ხერხემალს, უდროოდ ზრდაშეწყვეტილ სიმაღლეს, გიგანტურ აღნაგობას? და ყველაფერთან ერთად მთელი სიცოცხლის ბოლომდე თანმდევ სულიერ ტკივილებს?

თურმე შესაძლებელი ყოფილა ორგანიზმის დაკარგული ჰარმონიის აღდგენა, მაგრამ როგორ? საიდუმლო ისევ ორგანიზმის ბუნებამ, მისმა სიცოცხლისუნარიანობამ და შუდმივი განახლებისადმი სწრაფვამ ახსნა. თითქმის მკვდარ სხეულად მიჩნეული ძვალი არც ისეთი პასიური და ინერტული გამოდგა, პირიქით — აღდგენისა და ზრდის საოცარი უნარი გამოავლინა! სწორედ ამ გამოკვლევებმა მისცა დასაბამი გაბრიელ ილიზაროვის ცნობილ მეთოდს. მან შექმნა ორიგინალური სამკურნალო აპარატი და პრინციპულად ახალი ხერხები. იგი ატარებს უსკალპელო, უსისხლო და უნაკერო ოპერაციებს, აგრძელებს კიდურებს თითქმის 50 სმ-ით, სპობს კიდურების ყოველგვარ დეფექტს. მოკლე ხანში ფიზიკური ნაკლი ქრება და ადამიანი თითქოს ხელახლა იბადება. ხშირად დასტაქარს პიგმალიონის მსგავსად თავიდან გამოუქერწავს სხეული.

გაბრიელ ილიზაროვის მკურნალობის წყალობით 530 ათასი კაცი დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას, მოემატა რწმენა და სიმხნეები. ილიზაროვი ახლა მსოფლიოში ცნობილი პიროვნებაა. საზღვარგარეთ არსებობს სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც მის აპარატებსა და მეთოდებს სწავლობს. იგი დაჯილდოებულია მრავალი ქვეყნის უმაღლესი ორდენით, არის რსფსრ დამსახურებული გამომგონებელი, სოციალისტური შრომის გმირი.

შარშან იაპონიის საერთაშორისო გამოფენაზე — „ექსპო-85“ გ. ილიზაროვის საქმიანობა ერთადერთი სიტყვით შეაფასეს — სასწაული!

* * *

მართლაც სასწაულია თუ კანონზომიერი მოვლენა? თვითონ გაბრიელ ილიზაროვს მიაჩნია, რომ ყველაფერი მეცნიერულ კვლევა-ძიებაზეა დაფუძნებული და, ამდენად, გასაოცარიც არაფერია. ბედს შეგუებული, იმედდაკარგული კაცი ერთ მშვენიერ დღეს სარკეში შეხედავს თავის ორეულს და საკუთარ თვალებსაც აღარ დუჯერებს — სარკიდან სულ სხვა ადამიანი იმზირება, ისეთი, რომლის წარმოდგენას მხოლოდ ოცნებაში თუ გაბედავდა. აი, რა არის მთავარი! და კიდევ — გჯეროდეს, რომ სასწაულის მოხდენა შეიძლება და აუცილებლად მიაღწევ მიზნამდე. ამიტომაც ამშვენებს კურგანის სახელგანთქმულ კლინიკას ამგვარი დევიზი: „წადილი — ათასი შესაძლებლობაა, ფოფუწადინებლობა — ათასი მიზეზი“.

— მე ვფიქრობ, მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს კაცი, თუ ყარს იტყვის ყველაფერზე, რაც ამ გზაზე გადაეღობება. თუნდაც ეს იყოს ისეთი აუცილებელი სულიერი საზრდო, როგორიც არის წიგნი, თეატრი, კინო. თავგანწირვის გარეშე ახალი არაფერი შეიქმნება. პირადად მე ასე ვცხოვრობ. ვკითხულობ მხოლოდ სპეციალურ ლიტერატურას. სამწუხაროდ, თავისუფალი დრო არ მრჩება. მინდა ვურჩიო ახალგაზრდებს, რომ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს მოახმარონ ყველაზე ძვირად ღირებული წუთები.

ასეთია ილიზაროვის ცხოვრების წესი. მისი კლინიკაც თავისებურ წესებს ემორჩილება. აქ ავადმყოფი ოპერაციის მეორე დღისვე ფეხზე უნდა დგებეს, იმოძრაოს. დაძაბოს კუნთები, რადგან დაუძაბავად ძვლის ზრდა ნელდება. ავადმყოფს თვითონ შეუძლია სამკურნალო აპარატის რეგულირება. აპარატის კონსტრუქცია ერთი შეხედვით თითქოს მარტივია, მაგრამ სინამდვილეში თითოეული ავადმყოფისათვის მრავალთაგან მხოლოდ მისთვის შესაფერისი ვარიანტია შერჩეული. მკურნალობის მთელი საიდუმლოება ის გახლავთ, რომ ძვალს უქმნიან ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს. ხშირად თურმე ასეც ხდება — მკურნალობენ ბავშვის ფეხს და ეს ერთგვარ ბიძგად იქცევა ორგანიზმის გარდასაქმნელად. ბავშვი სიმაღლეშიც იზრდება, ფიზიკურ ნაკლთან ერთად კი სახის ადრინდელი ნაღვლიანი გამომეტყველებაც უქრება. შინაგანი განწყობილება და სასიამოვნო ემოციები ახალისებს და ალამაზებს მის გარეგნობას. ილიზაროვის კლინიკა დღეისათვის „ყველაზე მხიარულ საავადმყოფოდ“ ითვლება ჩვენს ქვეყანაში. კიდურებზე მორგებული სამკურნალო „ხარაჩოები“ სულ არ უშლის პაციენტების მოძრაობას. თქვენ წარმოიდგინეთ, მათთვის საგანგებოდ სამეჯლისო ცეკვების კონკურსებიც კი იმართება.

— ახლა, როცა ათასობით ოპერაცია გავაკეთეთ, მიკვირს, ერთხელ მაინც რატომ არ დავფიქრდით იმაზე, რომ ცოცხალ ორგანიზმში შეუძლებელია არსებობდეს უმოქმედო, პასიური ქსოვილი. ძვალი კი ასეთი ელასტიკური და დამყოლი ყოფილა! ჩვენ შეგვიძლია სასურველი ფორმა მივცეთ ფეხის ქუსლს, გავზარდოთ თითები, დავგრძელოთ კიდურები, მისი ყველა სეგმენტი... კაცი, რომელსაც ბავშვობიდან სიარული არ შეუძლია, ივლის და ირბენს კიდეც... ახლა რამხელა პერსპექტივებს გვიშლის ახალი ექსპერიმენტები ხერხემალზედ! მაღლე, ალბათ, ხერხემლის დაავადებასაც მოვუვლით — წლობით ლოგინს მიჯაჭვულ ადამიანებს ფეხზე წამოვაყენებთ. ფანტასტიკაა? არა, მეოცე საუკუნეს სწამს სასწაულები...

გაბრიელ ილიზაროვი გატაცებით ლაპარაკობს. მე ვხედავ ნამდვილ შემოქმედს, რომელსაც იმედიანი, ნათელი ფერებით შეუძლია ხატვა. მაგონდება მისი სიტყვები, საუბრის დასაწყისში რომ მითხრა: თითოეულ ავადმყოფთან შეხვედრა ჩემთვის შემოქმედებაა, ახლის ძიებაა, და თუ მივაგენი რაღაცას, ბედნიერი ვარ...

პატივცემულ მეცნიერს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში შევხვდი. მოუცლელობის გამო მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაზე მოასწრო პასუხის გაცემა, დანარჩენებზე კი თავისთავად მიპასუხა იმ „შემოქმედებითმა პროცესმა“, რომლის უნებური მოწმეც გახლდით მთელი ორი საათის განმავლობაში. იგი მშვიდად, დაკვირვებით სინჯავდა ბავშვებს, ანუგეშებდა მათს მშობლებს, მოჰყავდა ანალოგიური მაგალითები თავისი პრაქტიკიდან... როცა 9 წლის ანგელოზივით გოგონა შემოიყვანეს, მხარზე მოხვია ხელი, დიდხანს უცქირა მის ტრავმირებულ თითებს და მხიარულად უთხრა: ოჰ, ეს ხომ წვრილმანებია, ერთ თითს კი არა, თუ გინდა ყველს დაგიგრძელებთ და გაგილამაზებთ! დედამ შვებით ამოისუნთქა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს იმ წუთში ცა გადაიხსნა და მანამდე უხილავი სამყაროს ყველა ფერი დაინახოო.

ადამიანი ხომ მარტო ჭირთა-თმენისათვის არ მოდის იმქვეყნად, იგი სიხარულისათვის იბადება.

ლ. ᲒᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲣᲓᲠᲔᲙᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ



ᲧᲝᲕᲔᲚᲘ წლის 16 აპრილი გერმანელი კომუნისტებისა და მუშების დღესასწაულია. წელს — განსაკუთრებული!

ეს გახლავთ ერნსტ ტელმანის დაბადების 100 წლისთავი.

იგი დაიბადა 1886 წლის 16 აპრილს ჰამბურგში. სახალხო სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხანს ოკეანის გაღმა წასვლაზე ოცნებობდა. იგი გემზე მოეწყო მეცეცხლურის თანაშემწედ, 1900 წლის ზაფხულში მშობლიური ქალაქი მიატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა.

აქ მან ნიუ-იორკის მახლობლად, ერთ-ერთ ფერმაში სამუშაოც იშოვა, მაგრამ ამერიკაში დიდხანს ვერ გაძლო და კვლავ მშობლიურ ჰამბურგში დაბრუნდა.

მაშინ 16 წლისა იყო. დაიწყო ცხოვრების ახალი ეტაპი. იგი ეძებს სამუშაოს. მუშაობდა დღიურ მუშად, ავეჯის მტვირთავად, თეორიულის დამტარებლად, შემდეგ ნაცადგურის მტვირთავი გახდა. 16 წლისა იყო, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა.

მისი შემდგომი ბრძოლის მიზანი და მიმართულება დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ განსაზღვრა. ერნსტი აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის 1918 წლის ნოემბრის რევოლუციაში. 1919 წლის მაისიდან იგი სათავეში ჩაუდგა გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰამბურგის ორგანიზაციას. 1920 წლის დეკემბრიდან ტელმანი გერმანიის კომუნისტური პარტიის ჰამბურგის ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

1921 წლის ზაფხულში მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი გაიმართა. გერმანიის კომუნისტური პარტიისაგან დელეგატთა შორის იყვნენ კლარა ცეტკინი, ერნსტ ტელმანი, ვილჰელმ პიკი და სხვები. კონგრესის სხდომებზე სხვა საკითხებს შორის გერმანიის მარტის ამბებიც განიხილეს. გამოვიდა ვ. ი. ლენინიც. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდა ტელმანი. მან 1921 წლის მარტში გერმანელ მუშათა გმირული ბრძოლის ნათელი სურათი დახატა. ლენინს ძალზე მოეწონა მისი გამოსვლა და მიულოცა კიდეც.

ტელმანი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ჰამბურგის 1923 წლის აჯანყებაში. იზრდებოდა მისი ავტორიტეტი და პოპულარობა: ერთი წლით ადრე, 1922 წლის 19 ივნისს, ჰამბურგელმა ფაშისტებმა მისი მოკვლა სცადეს — ბომბი ააფეთქეს მის ბინაში. ბედად, აფეთქებისას ტელმანი შინ არ იყო, პარტაქტივის კრებას ესწრებოდა. 1925 წლის მიწურულს იგი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

გერმანიაში ამბობენ: ავგუსტ ბებელის, კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის შემდეგ ტელმანი ყველაზე პოპულარული და საყვარელი სახალხო ტრიბუნი იყოო მთელ გერმანიაში. მისი სწამდათ, მას უდიდესი ინტერესით უსმენდნენ.

იხსენებენ: ერთ-ერთ რესტორანში მიტინგისას მონაწილენი კონსპირაციის მიზნით შეთანხმდნენ, შეძახილები და ტაში არ ყოფილიყო. როცა ტრიბუნაზე ტელმანი ავიდა და უსმინდ, შემართული ხელებით ტაშს ადგნენ. ეს ტაში ერთ საათს გაგრძელდა. ტელმანმა, თავისი მგზნებარე სიტყვის შემდეგ გამოსათხოვრად კვლავ შემართა მუშტი, ბევრმა მსმენელმა დაავიწყა კონსპირაცია და ტაში ატყდა.

ერნსტ ტელმანი ყოველთვის სიმართლეს ქადაგებდა სოციალიზმის პირველი ქვეყნის შესახებ. ყოველთვის დაუცხრომლად იცავდა ჩვენს ქვეყანას — მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ბურჯს. იგი რამდენჯერმე ყოფილა ჩვენში... 1924 წლის 24 იანვრის დაუვიწყარ ღამეს საპატიო ყარაულში იდგა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის კუბოსთან...

1933 წლიდან, ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ, ერნსტ ტელმანი არალეგალურად ცხოვრობდა და ბრძოლას განაგრძობდა. 1933 წლის 3 მარტს გეტაპოელებმა დააპატიმრეს.

მშვიდობისა და კულტურისათვის მებრძოლმა მთელმა მსოფლიო საზოგადოებრიობამ ხმა აღიმაღლა მის დასაცავად. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა თქვა: „ჩვენ ბრძოლასავით უნდა მოვიგოთ ერნსტ ტელმანი“. გორგი დიმიტროვი: „ტელმანის გადარჩენა საერთაშორისო პროლეტარიატის ღირსების საქმე, მთელი მსოფლიოს თითოეული პატიოსნად მოაზროვნე ადამიანის ვალი იყო“.

1934 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა მწერლების პირველმა საკავშირო ყრილობამ მქუხარე ტაშით მიიღო მისალმება ტელმანისადმი.

ისტორიის ფურცლები მოგვითხრობენ: საფრანგეთში 30 ათასი სამკერდე ნიშანი და 32 ათასი საფოსტო ბარათი გამოუშვეს, რომლებზეც ერნსტ ტელმანი იყო გამოსახული. ჩვენთვის უცნობმა ... ვაჟაცებმა ბრისტოლში (ინგლისი) გერმანიის საკონსულოზე ... მართეს დროშა, რომელზეც ... წერილი იყო: „თავისუფლება ტელმანს!“. ეს დროშა რამდენიმე საათის განმავლობაში ფრიალებდა ქალაქის თავზე.

როცა ქალაქ ჰესენში ფაშისტებმა აიძულეს მასწავლებელი ვილჰელმ გამანი ქალაქში ჩაეტარებინა ფაშისტური დროშა და ეძახა: „გაუმარჯოს გერმანელი ხალხის ბელადს ადოლფ ჰიტლერს“, — მან დროშა მიწას დაანარცხა და ფაშისტებს, რომლებიც ფოლადის მავთულს ურტყამდნენ, მიახალა: „გაუმარჯოს რევოლუციას და ამხანაგ ტელმანს!“.

ერნსტ ტელმანის ბიოგრაფიაში, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტმა მოამზადა და 1984 წელს გამოიცა მოსკოვში, არის ასეთი ბანაური გვერდი: „ბერლინში, ... განთიადისას ... ასრულდა ეს საბრალო ... ბრძანება: ... ...

ბუნება — სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ—იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც.“

ვაჟა-ფშაველა

გაზაფხულია, გაზაფხულია

იური გაგარინმა ზუსტად 25 წლის წინათ აღტაცებულმა თქვა: „კოსმოსური ხომალდით დედამიწის შემოფრენისას ვიხილე, რა მშვენიერი ყოფილა ჩვენი პლანეტა. ადამიანებო, არ დავნგრიოთ იგი, გავუფრთხილდეთ და ვამრავლოთ ეს სილამაზე“...

განვლილმა ოცდახუთმა წელიწადმა დედამიწას ძლიერ შეუცვალა სახე. ახლა კოსმონავტი მფრინავები ხშირად ამ მშვენიერებასთან ერთად იმასაც ხედავენ, რომ ბიოსფერო სავსეა ამა თუ იმ ფორმის გამონაბოლქვი გაზებით, სმოგებით, შავი სითხეებითა და მყარი ნარჩენებით. ხედავენ, რაოდენ შემცირებულა მწვანე საფარი და გაზრდილა უდაბნოები...

ერთი სიტყვით, კაცობრიობის წინაშე მდგომ გლობალურ ამოცანებს შორის გარემოს დაცვა-გაჯანსაღებას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ახლა გაზაფხულია, დედამიწა აყვავდა, გამშვენიერდა. მოდით, თვალი მოვავლოთ ჩვენს მთასა და ბარს, ვნახოთ, რა კეთდება კარგი და მისაბაძი დედაბუნების დასაცავად, სიმშვენიერის მოსამრავლებლად.

ბუნების დაცვის სწორედ ამგვარ საგაზაფხულო განწყობილებას ასახავს მასალები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ.



ს. კილაძის ფოტო.

მცენარე ადამიანის სამსახურში

ქვეყნის კომუნისტთა ისტორიულმა ფორუმმა არსებითად დაგვანახვა საერთო მიზანი და დაგვაკონკრეტა კიდეც, ვის რა გვევალება მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა გაჩაღებული გამოყენებითი ბოტანიკის პროფილის ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული დარგების ყოველმხრივი განვითარებისათვის, როგორიც არის მცენარეთა ინტროდუქცია, დეკორატიული მებაღეობა და მეყვავილეობა, სამკურნალო მცენარეობა, მცენარეთა ფიზიოლოგია, აგროტექნიკა, ხუნების დაცვა და სხვა.

ბაღის სამეცნიერო საქმიანობაში დიდი როლი ენიჭება ბუნების დაცვას როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გლობალურ პრობლემას. საქართველოს თავისებურმა გეოგრაფიულმა და ნიადაგობრივ-კლიმატურმა პირობებმა განაპირობა უნიკალური მცენარეულობის შემონახვა, რომელთაგანაც ბევრი მესამეული პერიოდის იშვიათი თუ გადაშენების პირას მისული ენდემი და რელიქტია. სწორედ ამ მცენარეების ბუნებრივ პირობებში შენარჩუნება და შემრავლება ბოტანიკური ბაღის უპირველესი ამოცანაა. აქ 40 წელზე მეტია მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს, ველური ფლორის ლამაზად მოყვავილე დეკორატიული ბალახოვანი მცენარეების კულტურაში შესატანად, რომელთა შორის ბევრი ასე ძვირფასია სამკურნალოდ. ამათგან 100-ზე მეტი სახეობა იშვიათია და მათი უმრავლესობა შეტანილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წითელ წიგნებში. აღნიშნული მცენარეების კულტივირება ბრტანიკურ ბაღში საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ უძვირფასესი გენოფონდი. ამავე დროს, თუ მათ საჭირო რაოდენობით გავამრავლებთ, საკსებით შესაძლებელი გახდება მათი წარმატებით გამოყენება ქალაქის მწვანე მშენებლობაში, მედიცინაში, საპარფიუმერიო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. დიდი პრაქტიკული და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს მეყვავილეობის განვითარებას. ყვავილები თავისი ფორმით, შეფერილობით და სურნელით ადამიანს კარგ გუნება-განწყობილებაზე აყენებს, მატებს სიმხნეესა და ენერგიას, ამშვენებს და აცოცხლებს ქალაქს, ელფერს ანიჭებს ნებისმიერ დღესასწაულს, საზეიმო განწყობილებას ქმნის ოჯახში.

მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებამ გამოიწვია მისი აქტიური დაახლოება ბუნებასთან და, რაც მთავარია, გატაცება დეკორატიული ყვავილებით.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების რესპუბლიკაში მეყვავილეობის შემდგომი განვითარების თაობაზე ერთ-ერთი პირველი გამოხმაურა ბაღის კოლექტივი, რომელიც ყველაფერს ღონობს ამ მოწოდების ხორცშესხმისათვის.

ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითს და სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობაში ფართო ადგილი ეთმობა ყვავილოვან მცენარეთა ინტროდუქციას, მათს შესწავლასა და მოვლა-გამრავლებას. აქ ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ხაირ ფერებად ნასახსებს და სურნელებას აფრქვევს სხვადასხვა ჯიშის ვარდი, ზამბახი, იასამანი, მიხაკი, ნარგიზი, ტიტა, შროშანი, იორდასალამი, სუმბული...

საზოგადოებისათვის ყოველივე ამის უკეთ გაცნობის მიზნით მიმდინარე წლის მარტიდან ნოემბრამდე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეყვავილეობის პავილიონში ეწყობა ოთახის და ადრე მოყვავილე მცენარეების, სამკურნალწამლო მცენარეების, საქართველოს ველური ფლორის იშვიათი სახეობებისა და სხვა ყვავილოვანი კულტურების ექსპოზიცია-გამოფენა. დაინტერესებულ პირთა დასახმარებლად აქ გავრცელდება ლამაზად გაფორმებული ფერადი ბუკლეტები. რომლებთანაც უკეთ გაეცნობიან ისინი ნარგიზის, მიხაკის, ხვიარა ვარდის, ჰერბერას, იასამნის, სუმბულის, ხმალას, ტიტას, შროშანის, ბაღის იორდასალამისა და სხვა სამრეწველო ყვავილოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკას.

ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს მიეძღვნა გამოფენა დევიზით „ბუნების დაცვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში“, რომელიც უშუალოდ ყირიმის დღეებში მოიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბუნების დაცვის პავილიონში. გამოფენაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დარდგა თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმითა და უჩვეულო დროს აყვავებული ეგზემპლარები. ეს მოყვავილე ისეთი ენდემური მცენარეებია, როგორიც არის ბარბეის ღიღილო, ქართული ზამბახი, იოლიას ფურისული, ოლღას ფოლიო, ბარის შროშანა, კავკასიის დიოსკორეა და სხვ. (აღნიშნული მცენარეები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ წითელ წიგნებშია შეტანილი). ისინი, ჩვეულებრივ, გაზაფხულ-ზაფხულობით ყვავილობენ, მაგრამ ბაღის თანამშრომელთა (მათთვის სპეციალური პირობების შექმნის შედეგად) მეცადინეობით შესაძლებელი გახდა მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს აყვავებული ეგზემპლარი ეს მცენარეები თებერვალ-მარტის სუსხიან დღეებში.

ჩვენი ქალაქებისა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის ღონისძიებათა კომპლექსში მაღალმხატვრული გემოვნებით გაშენებულ პარკებს, ბაღებს, სკვერებსა და სხვა მწვანე ნარგავებს დიდი სოციალური, ესთეტიკური და მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობა აქვთ.

ბოტანიკური ბაღი წლების მანძილზე სისტემატურად აწვდის ინტროდუცირებულ, ქალაქის გამწვანებისათვის ახალ, მაღალდეკორატიულ და პერსპექტიულ მცენარეთა ფართო ასორტიმენტს ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას, რომელთანაც მრავალი წლის საწარმოო და მეცნიერული თანამშრომლობა აკავშირებს. სწორედ ამის საფუძველზე მდიდრდება და უმჯობესდება თანდათანობით თბილისისა და მისი შემოგარენის გასამწვანებელ მცენარეთა ასორტიმენტი, იზრდება მწვანე ნარგავებით დაფარული ფართობი. ქალაქის გამწვანების სისტემატური ზრდა უკეთეს პირობებს ქმნის მშრომელი მოსახლეობის კულტურული დასვენებისათვის, აძლიერებს მის საცხოვრებელ გარემოზე ამ ნარგაობათა კეთილმყოფელ გამჯანსაღებელ ზემოქმედებას.

გ. აბესაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის განყოფილების გამგე,

პ. იოსელიანი,
ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და დანერგვის განყოფილების გამგე.

სასარგებლო შეხვედრა

ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ მკითხველებთან

ახლახან ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენლები [illegible] შეხვდნენ დუშეთის რაიონის პარტიულ აქტივს. შეხვედრა, [illegible] მლის მონაწილეებმა იმსჯელეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებზე, მათი უთუო განხორციელებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, თითოეული მშრომელის, კომუნისტის ამოცანებზე, შესაფალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ოდიშვილმა.

ჟურნალის მთავარი რედაქტორი ვ. კეშელავა დამსწრეთ ესაუბრა რედაქციის ამჟამინდელ ამოცანებზე, მისი კოლექტივის საქმიანობაზე, საბჭოეთის კომუნისტთა დიდი ფორუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესების აუცილებლობაზე, ამის მიღწევის გზებსა და საშუალებებზე.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, პროფესორმა ვ. ადეიძემ ილაპარაკა ყრილობის [illegible] ბერ [illegible] ნარე სახალ[illegible] ბერობა. [illegible] ბეს მეცნიერებისა [illegible] ბერ [illegible] ბ [illegible] ბ [illegible] ბ